სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 27 აგვისტოს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #918) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

| # | კონკურსანტის დასახელება | დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ააიპ „ინჟინრული აზრი" | 12.09.2013წ 17 37/წთ<br>მ. ლესკვფილი | [signature] |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

საკონკურსო აპარატი [signature]

ხათუნა მენაბდიშვილი

ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის

სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის

რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

დირექტორი მალხაზ ლეკვეიშვილი

საგადახდო დავალება N2

"11" სექტემბერი 2013 წელი

რეფერენსი

2163955666

გადამხდელის დასახელება: ააიპ ინჟინრული აზრი

ანგარიში (დებეტი) GE36BG0000000892942101 (ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ააიპ ინჟინრული აზრი

საიდენტ. კოდი 204400022

მიმღების დასახელება: სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი REPLGE22

გადახდის დანიშნულება: კონკურსის უნიკალური # 918 შემსყიდველი - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 204562311, კონკურსანტი - ააიპ ინჟინრული აზრი 204400022

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

ბ.ა.

თანხა

50-00

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 11.09.13

გატარებულია ბანკის მიერ 11.09.13

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

ჯი პი აი
ჰენის სადაზღვევო ჯგუფი

# საკონკურსო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა

## (საბანკო გარანტიის შემთხვევაში)
## FG 0527/13

ვითვალისწინებთ რა, რომ **ინჟინრული აზრი** (ს/კ: 204400022) შემდგომში "პრეტენდენტი", მზად არის წარმოადგინოს თავისი საკონკურსო წინადადება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (კონკურსი #918), ჩვენ სს **"სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"** (შემდგომში "გარანტი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674)

**ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ, რ ო მ**

ვიღებთ ვალდებულებას სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში "შემსყიდველი" / "ბენეფიციარი") წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველვყოფთ შემსყიდველისათვის 750 (შვიდას ორმოცდაათი ) ლარის გადახდას

შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ საკონკურსო წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე, თავისი საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტია ძალაში რჩება 2013 წლის 12 სექტემბრიდან 2013 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით. გარანტიის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, პრეტენზია შემსყიდველის მხრიდან აღარ მიიღება.

გარანტი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება გარანტს, გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

გარანტია გაიცემა გარანტსა და პრეტენდენტს შორის 2013 წლის 12 სწქტემბერს გაფორმებული მომსახურეობის გენერალური ხელშეკრულების №GA 423/13 საფუძველზე.

გარანტი

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674,

მედეა მძინარიშვილი

ფინანსური რისკების მენეჯერი

თარიღი: 12.09.2013

6.3.1 დანართი №1

# ტექნიკური დავალების დანართი

1. რეკვიზიტები:

   კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

   ააიპ "ინჟინრული აზრი "

   ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

   მალხაზ ლეკვეიშვილი

   კონკურსანტის იურიდიული მისამართი:

   ქ. თბილისი, 0105, ლესელიძის ქ. №18/2

   კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:

   ქ. თბილისი, 0105, ლესელიძის ქ. №18/2

   საიდენტიფიკაციო კოდი:

   204400022

   კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

   298 79 41

   ელექტრონული მისამართი:

   engineering.idea@gmail.com

   ბანკის კოდი:

   საქართველოს ბანკი BAGAGE22

   ანგარიშსწორების ანგარიში:

   GE36BG0000000189294210l

2. საკონკურსო წინადადების ფასი

   72 000 (სამოცდათორმეტიათასი) ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

   2013 წლის 12 სექტემბრიდან 2013 წლის 14 ოქტომბრამდე

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა %-ლად

   1 (ერთი) პროცენტი

5. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა %-ლად

   არა

ხელმძღვანელის ხელმოწერა ______________

204400022

6.3.2

ინფორმაცია პრეტენდენტის პროფესიული გამოცდილება

ააიპ "ინჟინრული აზრი"

მის. ქ. თბილისი, 0105, ლესელიძის ქ. №18/2

განხორციელებული პროექტები:

| | |
|---|---|
| 2012 | ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედანი №6, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – ქ. თბილისის განვითარების ფორდი) |
| 2012 | ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედანი №7, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – ქ. თბილისის განვითარების ფორდი) |
| 2012 | ქ. თბილისში, შ. ყავლაშვილის ქ. №9, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – ქ. თბილისის განვითარების ფორდი) |
| 2012 | ქ. თბილისში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობის ფასადების აზომვითი პროექტი (დამკვეთი – სსიპ სასამართლოების დეპარტამენტი) |
| 2012 | ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №19, ორსართულიანი შენობის ფასადის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – ქ. თბილისის განვითარების ფორდი). |
| 2011 | ქ. თბილისში, ნორაშენის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) |
| 2011 | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ფუძნარის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) |
| 2011 | ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №126, ფასადების რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – შპს "უნიდენტი") |
| 2010 | თურქეთში, ოშკის ტაძრის 3D სკანირება და არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების შესრულება (დამკვეთი – შპს "რესტავრატორები და კომპანია"); |
| 2010 | ქ. დუშეთში ოთხსართულიანი საავადმყოფოს რეაბილიტაციის პროექტი (დამკვათი სს "სადაზღვევო კომპანია ჯი-პი-აი ჰოლდინგი"); |
| 2010 | ბაკურიანში ერთსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი ( დამკვათი - სს "სადაზღვევო კომპანია ჯი-პი-აი ჰოლდინგი"); |

2010 ბებრის ციხის, დედოფლის წყაროს, მირზაანის და ოზურგეთის მუზეუმ-ნაკრძალების ტოპო- და საკადასტრო აზომვები ( დამკვათი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.)

2009 იყალთოს სამონასტრო კომპლექსის დასავლეთის კარიბჭის სარეაბილიტაციო სამუშაოები. (დამკვეთი ა/ა იურიდიული პირი "შირიმი" ).

2009 ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის, უჯარმის ციხე-კომპლექსის, თბილისში ნარიყალის კომპლექსის, ქუთაისის და ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალების საკადასტრო აზომვები ( დამკვათი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.)

2009 ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე არქიტექტურული ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი ( დამკვეთი – ძველი თბილისის გამგეობა.)

2008 ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის საკადასტრო ანაზომები ( დამკვათი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.)

2008 პენსილვანიის აშშ საგუშაგო კოშკის კონსტრუქციების ტექნიკური მდგრადობის დასკვნა-ექსპერტიზა. ( პენსილვანიის აშშ საგუშაგო კოშკის საზოგადო ფილიალი საქართველოში);

# CV

## მალხაზ ლეკვეიშვილი

<u>დაბადების თარიღი:</u> 1957 წ. 3 ივლისი

<u>განათლება:</u>

1974 – 1979 წ.წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

<u>სამუშაო გამოცდილება:</u>

1997 წ. - დღემდე ასოციაცია «ინჟინრული აზრი» - დირექტორი

1995 წ. - დღემდე არქიტექტურულ-სამშენებლო ფირმა. «ემ-ენ პროქტი» - დირექტორი

1979-1995 წ.წ. ს.ს.ი. "თბილქალაქპროექტი" – ძველი თბილისის სპეციალიზირებული რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სახელოსნო

მთ. არქიტ. - 1988-1996 წ.წ.
უფრ. არქ. - 1985-1988 წ.წ.
არქიტექტ. - 1979-1985 წ.წ.

<u>პროფესიონალური საზოგადოების წევრობა:</u> ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; კულტურული მემკვიდრეობის ამერიკის ნაციონალური საზოგადოების წევრი.

<u>შესრულებული სამუშაოები:</u>

- წითელი ხიდის რეაბილიტაციის პროექტი (2012)
- ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედ. №№6,7-ში და შ. ყაველაშვილიე ქ. №9-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტი (2012);
- ქ. თბილისში, ნორაშენის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი (2012);
- წ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2012);
- ქ. თბილისში, მეტეხის აღმართი №№2, 4 და 11-ში არსებული შენობების რეკონსტრუქციის პროექტი (2012);
- ქ. ონში სინაგოგის რეაბილიტაციის პროექტი, (2011);
- მესტიაში, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი (2009);
- ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ქ. თბილისში, რ. თაბუკაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ჩხიკვთას სიონის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ქ. თბილისში, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2007);
- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქ. №7/2-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2007);
- დაბა წავკისში სამი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (2006);
- ქ. თბილისში ალ. დიუმას ქ.№13-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2005);
- ქ. თბილისში არმაზის ქ.№27/12-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2005);

- ქ. თბილისში გ. აბესაძის ქ. №4/6-ში კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუცია;
- ქ. მცხეთაში "სახალხო ბანკის" მცხეთის ფილიალის შენობა;
- ჰოლანდიის საელჩოს რეკონსტრუქცია;
- ქ. თბილისში, საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია ლ. გუდიაშვილის №11-ში, ჭონქაძის ქ. №11-ში, ვარნაძის ქ. №35/5-ში, რ. თაბუკაშვილის ქ. №6-ში;
- საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო საგუშაგო შატილში ;
- ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქციის პროექტები ლ. ასათიანის ქ. №28-ში და ბარნოვის ქ. №8-ში;
-ვერცხლის და აკოფიანის ქუჩაბს შორის მდებარე კვარტლის რეკონსტრუქციის პროექტი (1988წ.),
- საქართველოს სავაჭრო პალატის ადმინისტრაციული შენობის პროექტი (1989წ.),
-მხატვარ ე. ამაშუკელის საცხოვრებელი სახლის პროექტი (1990წ.),
- ფირმა "ელიზი"-ს ადმინისტრაციული შენობების პროექტი;
- სასაზღვრო საგუშაგო "წითელ ხიდთან",
- მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების პროექტები ივერიის ქ. №11-ში და ცინცაძის ქ. №9-ში ,
- დუტუ მეგრელის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო "ფიროსმანის" რეკონსტრუქციის პროექტი,
- ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტები დაბა წყნეთში, ტაბახმელაში, თბილისში, სოჭში, მოსკოვის ოლქში;
- თბილისში 2002 წელს მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული რიგი სახლების აზომვითი და საექსპერტო სამუშაოები;
- ძველი თბილისის მიწისძვრით დაზიანებული არქიტექტურული ძეგლების სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება.

<u>პუბლიკაციები :</u>

«Сейсмический риск и реконструкция исторического центра г.Тбилиси».
Заалишвили В., Тимченко И., Чачава Н., Лекввеишвили М. г.Сочи. 1999
"The Development Plan of the Tbilisi City Historical Center on the Bases of the Estimation of Seismic Risk Zonation". N.Chachava, M.Lekveishvili, I. Timchenko. Chamber of Architect Section of UIA in Turkey Region II Work Program. Istanbul, 1999
"Diagnostics and Development of Recommendations on Seismic Stability of Housing System under Reconstruction of Historic City Center". N.Chachava, M.Lekveishvili. Eleventh World Conference on Earthquake Engineering. Acapulco, 1996.

<u>ენების ცოდნა:</u> ქართული, რუსული

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| გვარი: | ხუნდაძე |
| სახელი: | თამარი |
| დაბადების თარიღი და ადგილი | 14.07.59<br>თბილისი |
| ეროვნება | ქართველი |
| მისამართი: | პეკინის გამზ. 33ა ბინა–21<br>ტელ. 2-37-20-40, 599-50-39-39<br>e-mail - tamar_khundadze@yahoo.co.uk> |
| ოჯახური მდგომარეობა: | გათხოვილი, ერთი ქალიშვილი |
| განათლება: | უმაღლესი - 1976-1981 წწ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის და თეორიის ფაკულტეტი |
| სპეციალობა: | ხელოვნებათმცოდნე |
| უცხო ენები: | რუსული, ფრანგული |

სამუშაო გამოცდილება:

| | |
|---|---|
| 1981-1989 - | გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ლაბორანტი |
| 1989-2005 - | უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი |
| 2004 - 2006 - | ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი |
| 2005 – დღემდე - | გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა კვლევის ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი |
| 2010 – დღემდე – | გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი |
| 1998-1999 წწ. - | ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველო"-ს კულტურული მემკვიდრეობის კომისიის წევრი. |

2008-2013 - ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.

2010 – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი. 2010 წლის სახელმძღვანელოთა (ხელოვნება) შემფასებელი – მოწვეული ექსპერტი

სამეცნიერო ხარისხი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში:

1984 - ახალგაზრდა მეცნიერთა სესია (თბ.) - "შუა საუკუნეების ქართული რელიეფის მხატვრული გადაწყვეტის საკითხისათვის";

1985 - ხელოვნების ისტორიკოსთა სამეცნიერო სესია (თბ.) -„ქტიტორული რელიეფი ორჯალარიდან";

1988 - რესპუბლიკური კონფერენცია (თბ.) - „წარწერის როლი შუა საუკუნეების ქართულ რელიეფთა მხატვრულ გადაწყვეტაში";

1989 - ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი -„ძველი აღთქმის სიუჟეტები X-XI სს.-ბის ქართულ სკულპტურაში";

1998 - უნივერსიტეტის 80-წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია - „ძველი აღთქმის წინას წარმეტყველთა - დანიელის და იონას გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე";

2000 - უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია - „შუა

საუკუნეების ქართულ საფასადო რელიეფთა სახისმეტყველების ერთი ასპექტი";

2001 - საქართველოს საპატრიარქოს და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ერთობლივი სესია - „სულის ხსნისა და მეოხების თემა შუა საუკუნეების ქართულ საფასადო რელიეფებზე";

2002 – აკადემიკოს ვ.ბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია - „ზარზმის წყაროს რელიეფები";

2006 – (22 –26 მაისი) მეხუთე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, თბილისი –"ადამიანის გამოსახულება ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე";

2006 – (21-25 აგვისტო) ბიზანტინისტთა 21-ე საერთაშორისო კონგრესი, ლონდონი - „ალექსანდრე დიდის ამაღლება ხახულის ეკლესიის რელიეფზე";

2007 ( 29-30 მარტი) – ვახტანგ ჯობაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, ხელნაწერთა ინსტიტუტი – „ალექსანდრე დიდის ამაღლების კომპოზიცია ხახულში";

2007 – (25 მაისი) მცხეთის ჯვრის 1400 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ. – "მცხეთის წმინდა ჯვრის ტაძრის რელიეფები ისტორიულ პირთა გამოსახულებებით";

2008 (21-29 ივნისი) - ვახტანგ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი – « ისტორიულ პირთა გამოსახულებანი შუა საუკუნეების (VI- XIსს) ქართულ ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში » ;

2011 – (20 - 24 სექტემბერი) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონფერენცია – « უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა », თბილისი, « მეფეთა გამოსახულებანი ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში »;

2011 – (29 სექტემბერი - 1 ოქტომბერი) გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის, ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და ბაზელის უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენცია – « ფიგურა და ორნამენტი », თბილისი, « ფიგურა და ორნამენტი, როგორც ქართული დიპლომატიური და მისიონერული მოღვაწეობის დასტური ჩრდილოეთ კავკასიაში” ( ტყობა-ერდის ტაძრის რელიეფების მაგალითზე )

2012 (11 იანვარი) - საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მეტროპოლიტენ მუზეუმის (აშშ) ერთობლივი პროექტის (“ტრადიცია და ტრანსფორმაცია. ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების გალერეების რეინსტალაცია”, რომელიც შესრულდა UNESCO-ს 2010-2011წწ. მონაწილეობის პროგრამის მხარდაჭერით) ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია - “შუა საუკუნეები 21-ე საუკუნის პერსპექტივიდან: კვლევა, რესტავრაცია, საგამოფენო სტრატეგია”, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, “სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობია-იერდის ეკლესიის ფასადის დეკორაციაში (ჩრდილო კავკასია)”

2012 (26-30 ივლისი) - Символический образ Светитсховели на фасадном рельефе храма Тхоба-Ерди ( Ингушетия), (თანაავტორი ა. შანშიაშვილი) - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა”, ახალციხე.

პედაგოგიური მოღვაწეობა :

1995-1997 - ხელოვნების საერთაშორისო ცენტრთან არსებული დ. კაკაბაძის სახ. ხელოვნების ისტორიის და თეორიის სტუდია, მსოფლიო ხელოვნების ისტორიის კურსი;

1996 – შვეიცარულ-ქართული კულტურული თანამშრომლობის და კვლევის ინსტიტუტი - „არგო”-ს (შვეიცარია, ვალცენფაუზენი დირექტორი კატრინ ჰაბეგერი) მიწვევით

ლექციები შუა საუკუნეების ქართულ
ხელოვნებაზე (ციურიხი, ბაზელი, ვალცენჰაუზენი);

2005 –2013 – ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ლექციები - ბიზანტიის, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნების, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული სკულპტურის სპეციალური და ძველი ქართული ხელოვნების ზოგადი კურსები;
დიპლომანტების ხელმძღვანელობა.

მიღებული გრანტები:

2000 – 2001 - ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველო"-ს გრანტი პროექტისათვის – „საქართველოში მცხოვრები უცხოელი მხატვრების შემოქმედება და ქართული კულტურა XVIII ს. II ნახ. – დან - XX ს.-ის 20-იან წწ. – მდე;

2002-2005 - საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრის პროექტი - „ისტორია სახეებში";

2004-2005 - მეცნიერებათა აკადემიის გრანტი – შუა საუკუნეების ქართული ფერწერის კორპუსის მომზადება;

2004-2005 - მონაწილეობა კულტურის სამინისტროს მიერ არმაზისხევის ქვის საცავის სარეაბილიტაციოდ მივლინებული ჯგუფის მუშაობაში;

2007 – კულტურის სამინისტროსა და გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტები:

1. მცხეთა–თბილისის შუა საუკუნეების რელიეფების პასპორტიზაცია,
2. მცხეთის ჯვრის ტაძრის საიუბილეო ალბომის

გამოცემა;

2007 (სექტემბერ–ოქტომბერი) შუა საუკუნეების ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სემინარისა და ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ფოტო გამოფენის ორგანიზება. კულტურის სამინისტროს, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრისა და ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი. თბილისი, (კოორდინატორები: თ. ხუნდაძე, ე. გედევანიშვილი);

2008 – კულტურის სამინისტროს გრანტი - ქართლის ეკლესიათა (ატენი, ბზა, აძიკვი, ტბისი ...) საფასადე რელიეფთა პასპორტიზაცია ;

2009 – საზაფხულო სკოლის ორგანიზება – გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და ბაზელის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი. (კოორდინატორები: თ.ხუნდაძე ე.გედევანიშვილი)

2011 – ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის მიერ შესრულებული – სავანის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის რეაბილიტაციის პროექტი, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

სამეცნიერო პუბლიკაციები:

1. კტიტორული რელიეფი ცაიშიდან, ძეგლის მეგობარი, 1998 წ. 4 (გვ.24-29).

2. ძველი აღთქმის სიუჟეტები X-XI სს-ბის ქართულ სკულპტურაში, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ. 1989 წ. (მოხსენებათა თეზისები).

3. შუა საუკუნეების ქართული რელიეფი, სკოლა და ცხოვრება, 1990 წ. N 4 (გვ.53-58).

4. სოსო წერეთლის გამოფენაზე, ლიტერატურა და ხელოვნება, 1990 წ. N1 (გვ. 184-192).

5. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა (დანიელი და იონა) სასწაულებრივი ხსნის თემები X ს-ის ქართულ ქვაზე კვეთილ რელიეფებზე, ლიტერატურა და ხელოვნება, თბ. 1999 წ. N1 (გვ. 106-121).

6. შუა საუკუნეების (VI-X სს.) ქართულ საფასადო რელიეფთა სახისმეტყველების ერთი ასპექტი. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული,ხელოვნებათმცოდნეობა – 2, თბ.2001 წ. (გვ.282-293).

7. ძველი აღთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე წირქოლიდან, "Academia", ტ. II, 2001 წ. (გვ. 81-92).

8. ზარზმის წყაროს რელიეფები, ქართული ხელოვნების ნარკვევები - II. (გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) თბ. 2002 (გვ.17-18).

9. „დანიელი ლომთა ხაროში" - აკაურთის ეკლესიის რელიეფზე, საქართველოს სიძველენი თბ. 2002 N 2, (გვ. 18-27).

10. თელოვანის „ჯვარპატიოსნის" ეკლესიის რელიეფის შესახებ, „საქართველოს სიძველენი" N 4-5, თბ. 2003, (გვ. 52-62).

11. ორჯალარის რელიეფი ისტორიულ პირთა კურთხევის გამოსახულებით, „საქართველოს სიძველენი" - N 7-8, თბ. 2005 (გვ.100-110).

12. ზარზმის წყაროს კედელზე გამიკვეთილი წმინდანის გამოსახულების იდენტიფიკაციისათვის, "Academia", ტომი 6-7, თბ. 2006 წ. (გვ. 60-64).

13. L'ascension d'Alexandre le Grand sur le relief de l'eglise de Xaxuli, 21 st international congress of Byzantine studies, London (21-26 august 2006) <www. bysantine congress. org.uk>

14. მცხეთის წმინდა ჯვრის ტაძრის რელიეფები ისტორიულ პირთა გამოსახულებებით, მცხეთის ჯვრის 1400 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი 2007, (გვ. 39-44).

15. ისტორიულ პირთა გამოსახულებანი შუა საუკუნეების (VI-XIსს) ქართულ ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში, ვახტანგ ბერიძის სახელობის

ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმის თეზისები, თბილისი 2008 (გვ. 58-59).

16. ალექსანდრე დიდის ამაღლება ხახულის ეკლესიის რელიეფზე, "საქართველოს სიძველენი" №10, თბ. 2007, (გვ. 47-62).

17. Nouvelles observatios sur les reliefs figurés de l'église Sainte-Croix de Mtskheta, « Anadolu ve Çevresinde » ("***Anatolia and Its Vicinity in Middle Ages*** ")- ORTAÇAG 2, AKVAD, Ankara, 2008 (გვ. 21-32)

18. რაჭა-1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები (ალბომის ტექსტის თანაავტორი), თბილისი, 2008.

19. მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარი (საიუბილეო ალბომის ტექსტის თანაავტორი), თბილისი, 2008.

20. ჩრდილის წმინდა გიორგის ეკლესიის კანკელის ფრაგმენტები, "საქართველოს სიძველენი" №13, თბ. 2009, (გვ. 34-52).

21. Images of Historical Persons in Georgian Architectural Sculpture of the Middle Ages (6th through 11th century), Georgian Art in the Context of European and Asian Cultures, Tbilisi 2009, (გ.გ. 152-158).

22. ბზის წმ. გიორგის ეკლესიის რელიეფები, « საქართველოს სიძველენი » № 14, 2010, (გვ. 122-132)

23. შუა საუკუნეების (VI–XI სს.) ქართული საქტიტორო რელიეფის იკონოგრაფიული ვარიაციები, ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ჟურნალი "ACADEMIA" № 2 თბ. 2011 (გვ. 102-117)

24. « სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში » (ჩრდილო კავკასია), (თანაავტორი ა. შანშიაშვილი გადაცემულია ჟურნალ "საქართველოს სიძველენი"-ს №15-ში დასაბეჭდად.

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | **ნინო ბრიჭუროვა** |
| მისამართი | თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №1, ბ.14 |
| დაბადების თარიღი და ადგილი | 13 ივნისი, 1958, თბილისი |
| განათლება | 1975-1980, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი |
| პროფესია | არქიტექტორი |
| საქმიანობა | 1997-დღემდე – ასოციაცია "ინჟინრული აზრი" - არქიტექტორი<br>1982-1997 – სსი "თბილქალაქპროექტი", ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სპეციალიზირებული სახელოსნო - წამყვანი არქიტექტორი;<br>1980-1982 – სსი "ენერგოქსელპროექტი"– არქიტექტორი |
| განხორციელებული და მიმდინარე პროექტები | - ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედ. №7-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2012);<br>- ქ. თბილისში, ნორაშენის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი (2012);<br>- წ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2012);<br>- ქ. თბილისში, მეტეხის აღმართი №11-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2012);<br>- ქ. ონში სინაგოგის რეაბილიტაციის პროექტი,<br>- ქ. ამბროლაურში, მაჩაბლების კოშკის რეაბილიტაციის პროექტი (2011);<br>- სნოს კოშკის რეაბილიტაციის პროექტი (2010);<br>- თურქეთში, ტაო-კლარჯეთში, ოშკის ტაძრის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები (2009);<br>- მესტიაში, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი (2009);<br>- ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2008);<br>- ქ. თბილისში, რ. თაბუკაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2008);<br>- ჩხიკვთას სიონის რეაბილიტაციის პროექტი (2008);<br>- ქ. თბილისში, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2007);<br>- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქ. №7/2-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2007);<br>- დაბა წავკისში სამი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (2006);<br>- ქ. თბილისში ალ. დიუმას ქ.№13-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2005); |

- ქ. თბილისში გ. აბესაძის ქ. №4/6-ში კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია;
- ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქციის პროექტები ლ. ასათიანის ქ. №28-ში (2003);
- ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქციის პროექტები ბარნოვის ქ. №8-ში (2003);
- ქ. მცხეთაში "სახალხო ბანკის" მცხეთის ფილიალის შენობა;
- ქ. თბილისში დუტუ მეგრელის ქუჩაზე სასტუმრო "ფიროსმანი"-ს რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში "მშრალი ხიდის" განაშენიანების რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში აკოფიანის, იეთიმ გურჯის და ჩახრუხაძის ქუჩებს შორის მდებარე განაშენიანების რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში ჟელიაბოვის ქ. №8-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;

| | |
|---|---|
| კომპიუტერული პროგრამები | ArchiCAD 14.0; AutoCAD 2011; PhotoShop CS2; PageMaker 7.0; |
| ენების ცოდნა | ქართული – მშობლიური; რუსული – მშობლიური; ინგლისური –კარგად. |

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | *ალექსანდრე მჭედლიშვილი* |
| **მისამართი** | თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №54, ბ.6; მობ. 899 265162 |
| **დაბადების თარიღი** | 4 აპრილი, 1956, თბილისი |
| **განათლება** | 1973-1981, სპი, სამოქალაქო მშენებლობის ფ-ტი |
| **სპეციალობა** | ინჟინერ-მშენებელი |
| **საქმიანობა** | 2004- დღემდე – ასოციაცია “ინჟინრული აზრი”- მთ. კონსტრუქტორი<br>2006- დღემდე მრავალდარგობრივი ფირმა “ჩემი სახლი”. მშემებლობის ექსპერტი;<br>2000–დღემდე – საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაცია<br>1998-2004 --შპს “გეო+” - კონსტრუქტორი,<br>1982-1998 -- სსი“საქსპორტპროექტი”–პროექტის მთავარი ინჟინერი |
| **განხორციელებული და მიმდინარე პროექტები** | - ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობის რეკონსტრუქცია (2002-03);<br>- ბაკურიანში სასტუმრო “ყაზბეგი” (2002);<br>- ქ. თბილისში, ზ.ფალიაშვილის 1. №№80, 90, 92 მრავლსართულიანი საცხ. სახლები (2004-06)<br>- ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩაზე ფირმა “გრები”-ს ოფისი (2005-06)<br>- ქ. თბილისი, გ.აბესაძის ქ. №4/6-ში კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუცია (2006-07);<br>- ქ. თბილისი, არმაზის ქ. №27/12 მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2006);<br>- ქ. თბილისი, ალ.დიუმას ქ. №13-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2006);<br>- ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2007);<br>- ქ. თბილისი, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2007);<br>- ვერის პარკში მდებარე ჩოგბურთის კორტებისა და ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია (2006-2007);<br>- ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №4 “ქარვასლის” შენობის რეკონსტრუქცია, (2007-2008)<br>- თეთრიწყაროს რ-ნი, ჩხიკვთას სიონის ეკლესიის რეკონსტრუქცია (2008);<br>- ალავერდის მონასტრის მარნის პროექტირება-მშენებლობა (2007);<br>- ქ. თბილისი, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2008);<br>- მესტიაში, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი (2009-2010); |

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | **გიორგი მიქაძე** |
| მისამართი | თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №2, ბ.155 |
| დაბადების თარიღი და ადგილი | 1984 წ. 5 მარტი, თბილისი |
| განათლება | 2001-2005წ.წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ენერგეტიკის ფაკულტეტი,<br>2008წ. – ჰოლანდია, დელფტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გეოინფორმატიკის ფაკულტეტი – ინდივიდუალლური სამთვიანი სასწავლო კურსი |
| პროფესია | ინჟინერ-ენერგეტიკოსი |
| საქმიანობა | 2006 - დღემდე – ააიპ "ინჟინრული აზრი" - ინჟინერი, 3D სკანირების ოპერატორი |
| განხორციელებული და მიმდინარე პროექტები | - ტაო-კლარჯეთი, ოშკის ტაძრის აზომვა დოკუმენტირება;<br>- გრემის სამონასტრო კომპლექსის აზომვა-დოკუმენტირება;<br>- მოწამეთას სამონასტრო კომპლექსის აზომვა-დოკუმენტირება;<br>- მესტია, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი;<br>- გელათის სამონასტრო კომპლექსი, აზომვა დოკუმენტირება;<br>- თბილისი, რუსთაველის გამზ. "ცისფერი" გალერეის წინასაპროექტო აზომვითი სამუშაოები და კვლევა.<br>- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქუჩა №№ 5,9,11,16 აზომვითი სამუშაოები<br>- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;<br>- ქ. თბილისში ბ. ახოსპირელის ქ.№4-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი; |
| კომპიუტერული პროგრამები | AutoCAD ; PhotoShop CS2; Premier.Pro ; Cyclon ; PhotoModeler. |
| - ენების ცოდნა | - ქართული, ინგლისური, რუსული. |

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | **დავით შანიძე** |
| დაბადების თარიღი და ადგილი | 25 იანვარი, 1942, თბილისი |
| მისამართი | თბილისი, ნიკოლაძის ქ. №11 |
| განათლება | 1966-1968 - თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, გეოგრაფიის ფაკულტეტი<br>1968-1972 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოლოგიურ-გეოგრაფიის ფაკულტეტი |
| სპეციალობა | გეოლოგი |
| საქმიანობა | 1980–დღემდე – სსი "საქსოფლმშენი" , პარტიის უფროსი<br>1975-1980 – – უფროსი ჰიდროგეოლოგი<br>1972-1975 – – ინჟინერ-გეოლოგი |
| განხორციელებული და მიმდინარე პროექტები | - "წითელი ხიდის" სასაზღვრო საგუშაგოს პროექტი;<br>- ფოთის სასაზღვრო საგუშაგოს პროექტი;<br>- ქ.ქ. ჭიათურასა და კრწანისში სათბური კომბინატების წყალმომარაგების პროქტი;<br>- ახალციხის, ოჩამჩირის, თამარირის, გომის მეფრინველეობის მეურნეობის წყალმომარაგების პროექტი;<br>- მარნეული და წნორის რნ-ბის მიწების დაშრობის პროექტი |
| ენების ცოდნა | ქართული – მშობლიური; რუსული - კარგად; |

**ნოდარ ყავლაშვილი**
მუხრანის ქ. 21, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 93 185188
ელ. ფოსტა: noka57@mail.ru

განათლება
1974-1979 მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგრამეტრიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი. სადიპლომო ნაშრომი თემაზე: ფიზიკის, გეოდეზიის, აეროფოტოგრამეტრიისა და კარტოგრაფიის მათემატიკური ასპექტები

1986-1987 ტაშკენტის უცხო ენათა ინსტიტუტი. პორტუგალიური ენის თარჯიმანი და პედაგოგი. სადიპლომო ნაშრომი თემაზე: პორტუგალიური ენის გრამატიკა, ისტორია და ლიტერატურა

სამუშაო გამოცდილება:

06/2007-დღემდე გეოდეზისტი. შპს. მნ-პროექტი

06/2006-დღემდე გეოდეზისტი. შპს. ვესტა

1/1991-06/2006 გეოდეზიის ინჟინერი, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტი. მიწათმზომელი

06/1979- 06/2006 გეოდეზიის უფროსი პედაგოგი. თბილისის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი

04/2001-04/2003 გეოდეზიის პედაგოგი. SIDA-სა და შვედეთის გეოდეზიის ერთობლივი პროექტი

05/1988-12/1990 უფროსი მრჩეველი. ანგოლის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი ლუანდაში.

09/1994-09/2004 უფროსი გეოდეზი GPS Trimble 4000-ში. UNAVCO-სა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი

**ექსპერტიზა**
გეოდეზიის პირველადი მომწოდებელი
GPS Trimble 4000

კომპიუტერული უნარები: ACAD, AUTODESC Land DESCTOP, Windows 2000/XP, IIS, NET სერვერები, აგრეთვე SQL, PL/SQL

ჯილდოები და სიგელები: ანგოლის, ლუანდის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის საპატიო დიპლომი - 1990

**პირადი მონაცემები:** საქართველოს მოქალაქე. ენები: რუსული, პორტუგალიური, ინგლისური სრულყოფილად. ჰობი: მოგზაურობა, ალპინისტობა, ლიტერატურა, ფოტოგრაფია, მუსიკა, სპორტი.

# სენაკის აკაკი ხორავას სახელობის

# სახელმწიფო დრამატული თეატრი

# წინასწარი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა



სენაკის ა. ხორავას სახ. სახელმწიფო თეატრი ქალაქის ცენტში, მთავარ მოედანზე მდებარეობს. მის წინ გაშლილი, ღია სივრცეა, გამწვანებული სკვერით და შადრევნებით. თეატრის მთავარი (სამხრეთი) ფასადი სკვერისკენაა მიმართული, დასავლეთ ფასადს კი, ბულვარი გასდევს.

თეატრი აგებულია 1953-59 წლებში ვახტანგ (ხუტა) გოგოლაშის პროექტითა და უშუალო მონაწილეობით. იგი წარმოადგენს მასიურ, გეგმაში სწორკუთხა, სამსართულიან ნაგებობას. მისი ხუროთმოძღვრება ნეოკლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი, რომელშიც ბაროკოს ელემენტებიც არის გამოყენებული. ისევე, როგორც ამ პერიოდში საქართველოში აგებული სხვა თეატრები (მაგ. ქუთაისის, ჭიათურის, ბათუმის და სხვ.), სენაკის თეატრის ხუროთმოძღვრებაც გამოირჩევა პომპეზურობით, მონუმენტურობით, დეკორატიულობისკენ მისწრაფებით. მისი მხატვრული სახე



სრულად პასუხობს ეპოქის საერთო არქიტექტურული სტილის მიმართულებას, მხატვრულ ტენდენციებს, რაც გამოიხატება იმპოზანტური იერის შენობათა შექმნაში, სადაც მთავარი ყურადღება წმინდა მხატვრულ ამოცანებს, ნაგებობათა ფასადებისა თუ ინტერიერების დეკორატიულ გაფორმებას ექცევა, ჭარბობს



რენესანსულ-ბაროკული ქრესტომატი-ული ფორმები. ამ პერიოდის ქართულ არქიტექტურას ახასიათებს კლასიცისტური არქიტექტურული მემკვიდრეობის ათვისების ტენდენცია, რაც მკაფიოდ არის გამოხატული სენაკის თეატრის ხუროთმოძღვრულ ფორმებსა და დეტალებში. ფასადებსა და ინტერიერში მთავარ როლს ორდერული სისტემა თამაშობს. მთავარი - სამხრეთი და გვერდითა - დასავლეთი ფასადები გაფორმებულია მაღალი, კორინთულ-იონიური კომპოზიტურ კაპიტელებიანი სვეტებით, ფრონტონებით, სხვადასხვა ფორმის - სწორკუთხა, თაღოვანი და მრგვალი სარკმლებით, რელიეფური ლირებით (მეორე იარუსის სარკმლებზე), ორნამენტული მოტივებით. სახურავზე, შენობის მთელ პერიმეტრზე ჩამწკრივებულია ანტიკური ამფორების მსგავსი ფორმის ლარნაკები. სახურავზე, სასცენო სივრცის თავზე აღმართულია შეწყვილებული სვეტებით დამშვენებული კოშკი, რომლის მაღალ შპილს ლირაზე „დასმული" ხუთქიმიანი ვარსკვლავი ასრულებს.

ორდერის თემა მეორდება ინტერიერშიც - ფოიეში ( პირველ და მეორე სართულზე) იონიური და კორინთული კაპიტელებიანი მაღალი სვეტებია.



თეატრის შიდა დაგეგმარება მკაფიოა - მაყურებელთა და სასცენო ნაწილები შეიცავენ ყველა სავალდებულო სადგომს და ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს. სცენა ტექნიკურად გამართულია (მოძრავია) და იძლევა მისი სრულყოფილი ექსპლუატაციის შესაძლებლობას. დარბაზის გარშემო მოთავსე-ბულია გალერეები, ფოიე-კულუარები, რომლებიც



დამშვენებულია ჭაღებით, ოქროსფრად დაფერილი ჭვირულორნამენტიანი მოაჯირებით, ფერწერული და რელიეფური გამოსახულებებით. აღსანიშნავია, რომ სენაკის თეატრის როგორც საფასადო, ისე ინტერიერის მხატვრულ გაფორმებაში, გვხვდება მხოლოდ ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული მოტივები - რელიეფური ლირები, ნიღბები და სტილიზებული სახეები; დარბაზსა და ფოიეში პლაფონებზე, დიდი ბროლის ჭაღების გარშემო მოხატულობაში (მხატვარი ბ. ბარქაია) - ანტიკურ სამოსში წარმოდგენილი ქალების ფიგურები, სხვადასხავა მუსიკალური ინსტრუმენტებით, ფუნჯითა და პალიტრით, რომლებიც ხელოვნების მფარველ ქალღმერთებს და მუზებს განასახიერებენ. ანტიკური მოტივები მეორდება თეატრის ინტერიერის სხვა ნაწილების მხატვრობაშიც (მაგ. ამურების ფიგურები...)

სენაკის თეატრი შეტანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

**დღევანდელი მდგომარეობა** - ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა - მის ქვემოთ გრუნტის წყლებია დაგროვილი და შენობა ფაქტიურად წყალზე დგას, რაც იწვევს პირველი სართულის კედლების დაზიანებას, ჩამოცვენილია ნალესობა; დაზიანებულია სახურავი და შენობაში ჩადის ატმოსფერული ნალექები, რის გამოც მესამე სართულის ჭერი და კედლები თითქმის სრულიად განადგურებულია. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მეორე სართულზე, თუმცა, აქაც, რამდენიმე ადგილას ჩამოცვენილია ბათქაში.

**მოსალოდნელი საფრთხე** - შენობის დაზიანებები პროგრესირებადია და საფრთხეს უქმნის თეატრის ინტერიერის დეკორის და საბოლოოდ თავად ნაგებობის შენარჩუნებასაც. მოსალოდლელია სახურავიდან მჟონავმა წყალმა ჩააღწიოს მეორე სართულამდე და დააზიანოს დღემდე გადარჩენილი ჭერის მოხატულობა; საძირკველში დაგროვილმა გრუნტის წყლებმა კი, შესაძლოა კიდევ უფრო დააზიანოს პირველი სართულის კედლები, რაც დროთა ვითარებაში გამოიწვევს ცემენტის დაშლას და საბოლოოდ შენობის დანგრევას.

რეკომენდაცია – სენაკის თეატრის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია ნაგებობას ჩაუტარდეს კაპიტალური რემონტი - ა) საძირკველს მოცილდეს გრუნტის წყლები, ბ) შეკეთდეს სახურავი, გ) შენობა გათავისუფლდეს ზედმეტი მინაშენებისგან - ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე მიდგმული ავტოფარეხებისა და ჯიხურებისაგან, რომლებიც ამახინჯებენ ნაგებობას და სრულიად შეუსაბამო არიან მის მნიშვნელობასა თუ დანიშნულებასთან.


თამარ ხუნდაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

გ. ჩუბინაშვილის სახ. ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი

ძეგლის არსებული მდგომარეობის აღწერა,
სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია
და ჩამონათვალი

სარეაბილიტაციო ნაგებობა მდებარეობს სენაკში, ქალაქის ცენტრში და წარმოადგენს მისი განაშენიანების ერთ-ერთ დომინანტს. იგი აშენებულია 1955-59 წლებში და თავისი იერსახით წარმოადგენს საბჭოთა პერიოდისათვის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისათვის დამახასიათებელ "სტალინური" არქიტექტურული სტილის ნაგებობას კლასიცისტური ელემენტების გამოყენებით. შენობა სამსართულიანია, სადაც პირველსა და მეორე სართულებზე განლაგებულია თეატრის ვესტიბიული, ფოიე და სამაყურებლო დარბაზი სცენით თავისი დამხმარე სათავსოებით. მესამე დონეზე განთავსებულია ტექნიკური სართული. შენობა გადახურულია რთული კონფიგურაციის მქონე ქანობიანი სახურავით, რომელიც დაგვირგვინებულია სცენის კოლოფის თავზე მოწყობილი კოშკით.

შენობის კაპიტალური კედლები ზოგადად კარგ მდგომარეობაშია, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში არის დაზიანებები: პირველი სართულის კედლები მთელ პერიმეტრზე დანესტიანებულია გრუნტის წყლებისა და აივნებიდან ჩამავალი ატმოსფერული ნალექების გამო. მესამე – ტექნიკური სართულის კედლები და გადახურვა ასევე დაზიანებულია ატმოსფერული ნალექებით, რომელიც აღწევს შენობაში უხარისხოდ მოწყობილი სახურავის (მოთუთიებული თუნუქის) საფარის გამო.

ვინაიდან შენობა აგებულია გასული საუკუნის 50-ან წლებში იმ პერიოდისათვის დამკვიდრებული სამშენებლო ტექნოლოგიით, შესაბამისად, შენობის რეაბილიტაციაც უნდა განხორციელდეს იმ პერიოდისათვის არსებული მასალების გამოყენებით. კერძოდ, დაზიანებული კონსტრუქციული ელემენტები უნდა შეიცვალოს იმავე მასალისა და იმავე კონფიგურაციის ახალი ელემენტებით. ასევე უნდა აღდგეს ფასადის ყველა დაზიანებული დეკორატიული ელემენტი, შეიღებოს ლაბორატორიული კვლევის შედეგად მიღებული ავთენტური ფერის საღებავით.

შენობის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი

1. გარე წრიული დრანჟის მოწყობა უკუფილტრით და სანიაღვრესთან შეერთება.
2. სარინელის მოწყობა შენობის პერომეტრზე
3. ქვის საფარის ღდგენა დრენაჟის მოწყობის ადგილზე.
4. პირველი და მესამე სართულების დაზიანებული ნალესის ჩამოყრა.
5. გაჯის ნალესობის აღდგენა
6. I სართულის გადახურვაზე აივნების ფილების ჰოდროიზოლაციის მოწყობა
7. სართულშუა კარნიზების თუნუქით დაფარვა.
8. ხის ნივნივური გადახურვის კონსტრუქციის ნაწილობრივი შეცვლა.
9. თუნუქის საფარის გამოცვლა მთელ ფართზე.
10. სასხვენე მონოლითური რ/ბეტონის წიბოვანი ფილის აღდგენა.
11. დეკორატიული ელემენტების განახლება-აღდგენა.
12. წყალსადენ - კანალიზაციის სისტემის განახლება
13. ელექტრომომარაგების და სუსტი დენების სისტემების განახლება
14. გათბობა – ვენტილაცია –კონდიცირების სისტემების აღდგენა

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია არსებულ შენობაზე მოგვიანებით მიშენებული ავტოფარეხების და სატრანსფორმატორო ჯიხურის დემონტაჟი ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ფასადებიდან და მათი სხვა ადგილზე გადატანა.

თეატრის შენობის უშუალო სიახლოვეს მდებარე არქიტექტურული იერსახით შეუფერებელი ნაგებობის აქტიური ფასადის გასანეიტრალებლად, შესაძლებლად მიგვაჩნია შენობებს შორის არსებულ ღობეზე გარკვეულ სიმაღლემდე მსუბუქი ლითონის კარკასის მონტაჟი და მასზე ვერტიკალური მწვანე საფარის მოწყობა.

არქიტექტორი  მ. ლეკვეიშვილი

ფოტომასალა



საერთო ხედი



სამხრეთის ფასადი



დასავლეთის ფასადი



ჩრდილოეთის ფასადი



აღმოსავლეთის ფასადი



თეატრის სახურავი და კოშკურა

ინტერიერი









# გეოლოგიური მდგომარეობის ზოგადი დასკვნა

ქ. სენაკში აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის საძირკვლებში გრუნტების მდგომარეობის შესახებ.

2013 წლის 6 სექტემბერს ააიპ "ინჟინრული აზრი -ს მიერ ადგილზე დეტალურად დათვალიერებული იქნა თეატრის შენობის მდგომარეობა, როგორც კონსტრუქციული, ასევე შენობის საძირკვლის მდგომარეობის გაცნობის თვალსაზრისით.

შენობა აშენებულია გასული საუკუნის 50-ან წლებში. შენობის საძირკველი ლენტური ტიპისაა, რომელიც ეფუძნება თიხებს. თიხები ვიზუალურად რბილპლასტიკურიდან ძნელადპლასტიკურამდეა.

გრუნტის წყლები სავარაუდოდ ზედაპირიდან 1,7-2,3 მ სიღრმეზეა. რეგიონისათვის დამახასიათებელია გრუნტის წყლების დონეების მკვეთრი ცვალებადობა და უხვი ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების ნოსვლის შემთხვევაში მიღებული დონიდან 1 მ-ით მაღლა იწევს.

შენობაში გაჩენილი დაზიანებების უმთავრეს მიზეზად მიგვაჩნია როგორც გრუნტის, ასევე ზედაპირული წყლების ზემოქმედება.

წყლების მოცილების ყველაზე საიმედო ღონისძიებად მიგვაჩნია შენობის ირგვლივ სადრენაჟო სისტემის მოწყობა და წყლების ჩაშვება არსებულ სანიაღვრე კოლექტორში. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია შენობის ირგვლივ 1,5-2,0 მ სიგანის სარინელის მოწყობა, რათა თავიდან იყოს აცილებული ზედაპირული წყლების ზემოქმედება შენობის საძირკველზე.

წარმოდგენილი დასკვნა ზოგადი ხასიათისაა და შენობის შემდგომი მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიგვაჩნიაშენობის საძირკვლის მდგომარეობის უფრო ზუსტი შესწავლა სანთო გამონამუშევრის გაყვანის საშუალებით და შესაბამისი ლაბორატორიული კვლების საშუალებით.

გეოლოგი [signature] დ. შანიძე

# კონსტრუქციული მდგომარეობის დასკვნა

მე (საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაციის წევრი ა. მჭედლიშვილი) ვიმყოფებოდი ქ. სენაკში ა.წ. 6 სექტემბერს შენობის შასამოწმებლად. შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს კერამიკული აგურის კაპიტალური კედლები. სართულშუა გადახურვები, აგრეთვე სასხვენე გადახურვა მოწყობილია რ/ბეტონის მონოლითური წიბოვანი ფილებით. სახურავი მოწყობილია ხის ნივნივური კონსტრუქციებით. სავარაუდოდ? საძირკვლები მოცემულია რ/ბეტონის მონოლითური ლენტით. შენობა აშენებულია გასული საუკუნის 50-ან წლებში, მას არ გააჩნია ჯდომითი ან სეისმური დეფორმაციები და არის კარგ მდგომარეობაში. შენობის ძირითადი პრობლემა მდგომარეობს საძირკველსა და კედლებს შორის ჰორიზონტალური ჰიდროიზოლაციის არარსებობაში, რის გამოც ხდება ზედაპირული წყლების საძირკვლებში ჩაჟონვისას კედლების კაპილარული შეწოვა და მთლიანი I სართულის +0,00 ნიშნულზე კედლების დაზიანება.

ამ პრობლემის მოგვარება ჰორიზონტალურიჰიდრიოზოლაციის მოწყობით დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია წრიული დრენაჟის სისტემის მოწყობა და ამით ზედაპირული და მიწაში ჩაჟონილი წყლების ნაკადისაგან საძირკვლების დაცვა.

რაც შეეხება ზედა სასხვენე გადახურვებს, იგი, როგორც ზევით ავღნიშნეთ, რ/ბეტონის მონოლითური წიბოვანი ფილაა, რომელიც მოწყობილია კერამიკული აგიროს კაპიტალურ კედლებზე, ნაწილობრივ კი რკ/ბეტონის მონ. ჩარჩოებზე. აღსანიშნავია, რომ ამ გადახურვის 40-50% დაზიანებულია ხის ნივნივური გადახურვიდან ჩამოსული ატმოსფერული მალექებისაგან. წყლის დინება ხდება წლების განმავლობაში, რისგანაც ბეტონის ფილას და მის წიბოებს დაკარგული აქვთ მზიდუნარიანობა და კოროზირებულია არმატურა. ყოველივე ეს საჭიროებს ლითონის კასეტებითა და ვარცლებით გამაგრება-აღდგენას, რისთვისაც აუცილებელია შედგეს კონსტრუქციული პროექტი.

ხის ნივნივური გადახურვა ნაწილობრივ შესაცვლელია იქ, სადაც ხდებოდა წლების განმავლობაში წყლის ჩამოდინება.

შენობის სხვა ნაწილებში კონსტრუქციული დეფექტები  არ შეიმჩნევა ვიზუალური დათვალიერებით და, ჩემი აზრით, ამ ორი ძირითადი დეფექტის აღმოფხვრით შენობის ექსპლოატაცია გახდება უსაფრთხო.

დასკვნა.

**შენობის საძირკვლებიდან სისველის მოსაშორებლად სასურველი შენობას ჩაუტარდეს წრიული დრენაჟი, შენობის სასხვენე გადახურვის რ/ბეტონის მონ. წიბოვანი ფილის გამაგრება განხორციელდეს ლითონის კასეტებისა და ვარცლების დახმარებით.**

კონსტრუქტორი ა. მჭედლიშვილი

კვლევითი-საპროექტო სამუშაოების განხორციელების ეტაპობრიობა

პირველი ეტაპი : 15 სექტემბერი – 5 დეკემბერი

| № | თვეები | სექტემბერი | | ოქტომბერი | | | | ნოემბერი | | | | დეკ-რი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღეები | 7 | 14 | 21 | 28 | 35 | 42 | 49 | 56 | 63 | 70 | 77 |
| | სამუშაოების დასახელება | | | | | | | | | | | |
| 1 | მოსამზადებელი სამუშაოები | | | | | | | | | | | |
| 2 | საარქივო მასალის მოძიება, დამუშავება | | | | | | | | | | | |
| 3 | ფოტოფიქსაცია | | | | | | | | | | | |
| 4 | გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები | | | | | | | | | | | |
| 5 | გეოდეზიური სამუშაოები | | | | | | | | | | | |
| 6 | კონსტრუქციული კვლევა | | | | | | | | | | | |
| 7 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევა | | | | | | | | | | | |
| 8 | ძეგლის აზომვა, მონაცემების დამუშავება | | | | | | | | | | | |
| 9 | რესტავრაციის მეთოდოლოგიის შემუშავება | | | | | | | | | | | |
| 10 | რეაბილიტაციის პროექტის ესკიზური ვარიანტი | | | | | | | | | | | |
| 11 | I ეტაპის პროექტის გაფორმება-ჩაბარება | | | | | | | | | | | |

მეორე ეტაპი : 6 დეკემბერი – 30 აპრილი

| № | თვეები | დეკემბერი | | | | იანვარი | | | | თებერვალი | | | | მარტი | | | | აპრილი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღეები | 7 | 14 | 21 | 28 | 35 | 42 | 49 | 56 | 63 | 70 | 77 | 84 | 91 | 98 | 105 | 112 | 119 | 126 | 133 | 140 |
| | სამუშაოების დასახელება | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | არიტექტურული ნაწილი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | კონსტრუქციული ნაწილი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | მონუმენტური სახვითი ხელოვნების რეაბილიტაციის პროექტი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | დრენაჟის სისტემის პროექტი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | ელექტროტექნიკური ნაწილი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | სანტექნიკური ნაწილი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | გათბობა-ვენტილაცია-კონდიცირება | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | ხარჯთაღრიცხვა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათის და პასპორტის შედგენა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | II ეტაპის პროექტის გაფორმება-ჩაბარება | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

6.3.4

საკონკურსო წინადადება:

ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის
რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

საკონკურსო წინადადების ფასი:

72 000 (სამოცდათორმეტიათასი) ლარი

საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

2013 წლის 12 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე

6.3.5

*ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის*

ხარჯთაღრიცხვა

| № | *შესასრულებელი სამუშაოები* | *ღირებუ-ლება* |
|---|---|---|
| | *I ეტაპის სამუშაოები* | |
| 1 | ტერიტორიის ტოპოგეოდეზიური სამუშაოები | 300 |
| 2 | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა | 2 500 |
| 3 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევა | 1 200 |
| 4 | ლაბორატორიული კვლევა გამოსაყენებელი მასალების თავსებადობაზე | 400 |
| 5 | ფოტოფიქსაცია, სისტემატიზაცია | 21 000 |
| 6 | არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომვითი ნახაზების შედგენა დაზიანებების დატანით | |
| 7 | განმარტებითი ბარათის შედგენა, მეთოდოლოგიის შერჩევა, რეაბილიტაციის ესკიზური პროექტის დამუშავება | |
| 8 | ძეგლის ტექნიკური მდგრადობის შესწავლა-შეფასება და რეკომენდაციები | 400 |
| 9 | კროკების შედგენა დაზიანებების დატანით | |
| | *I ეტაპის სამუშაოების ჯამი* | *25 800* |
| | *II ეტაპის სამუშაოები* | |
| 10 | ტერიტორიის დრენაჟის სისტემის პროექტი | 2 200 |
| 11 | ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი | 400 |
| 12 | განმარტებითი ბარათი | 9 000 |
| 13 | არქიტექტურული პროექტი | |
| 14 | კონსტრუქციული პროექტი | 5 400 |
| 15 | მონუმენტური სახვითი ხელოვნების რეაბილიტაციის პროექტი | 3 350 |
| 16 | წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის პროექტი | 2 200 |
| 17 | გათბობა-ვენტილაცია-კონდიცირების სისტემების პროექტი | 4 400 |
| 18 | ელექტრომომარაგების, სახანძრო და დაცვითი სისტემების პროექტი | 6 000 |
| 19 | სადემონსტრაციო მასალის მომზადება | 200 |
| 20 | ხარჯთაღრიცხვის შედგენა | 800 |
| 21 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გრაფიკით | 450 |
| 22 | ძეგლის სააღრიცხვო ბარათისა და პასპორტის შედგენა | 800 |
| | *II ეტაპის სამუშაოების ჯამი* | *35 200* |
| | *I და II ეტაპების სამუშაოებიხ ჯამი* | 61 000 |
| | *დღგ 18%* | 11 000 |
| | ჯამი | *72 000* |

საპროექტო სამუშაოების
საერთო ჯამი                    72 000 (სამოცდათორმეტიათასი) ლარი

დანართი #2

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცსადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☑ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $195^1$ მუხლის შესაბამისად.